საქართველოს მთავრობის

დადგენილება №320

2024 წლის 3 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა და ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციას (EPLO) შორის“ შეთანხმების დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ძალაში შესვლის მიზნით, დამტკიცდეს 2024 წლის 10 სექტემბერს ქ. თბილისში და 2024 წლის 12 სექტემბერს ქ. ათენში ხელმოწერილი „საქართველოს მთავრობასა და ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციას (EPLO) შორის“ შეთანხმება.

მუხლი 2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

ა) აცნობოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული შეთანხმების დადების შესახებ;

ბ) შეატყობინოს ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციას (EPLO) ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების საქართველოს მხრიდან დასრულების თაობაზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**